საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-08/3565
02/12/2022

3565-08-2-202212021148

შპს ,,ლეხაიმ“-ის დირექტორს

ბატონ ავი შემეშს

მის.: ქ. თბილისი, დიდი ხეივანი 12/13

ბატონო ავი ,

გაცნობებთ რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის მისაღებად მისამართზე - ქ. თბილისი, დიდი ხეივანი 12/13, არ აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- თქვენს მიერ წარმოდგენილი შპს ,,ლეხაიმ“-ის დირექტორის/ბენეფიციარი მესაკუთრეების: ავი შემეშის, დავიდ შახალის, შალომ განაშვილის, ხაიმ გაგულაშვილის ცნობები ნასამართლეობის შესახებ ვადაგასულია. ასევე, არ არის წარმოდგენილი შპს ,,ლეხაიმ“-ის ცნობა ნასამართლეობის შესახებ და მათი დირექტორის/ბენეფიციარი მესაკუთრეების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. (ზემოაღნიშნული წესის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული. უცხოენოვანი დოკუმენტების წარმოდგენა ხორციელდება ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.);
ასევე, არ არის წარმოდგენილი:
- სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სამსახურთან დაცვის საგანგაშო ღილაკის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროგრამის ხელშეკრულება;
- გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტი;
- ვალუტის გადამცვლელი პუნქტის/ფილიალის საოპერაციო ფართის აზომვითი ნახაზი;

- ვალუტის გადამცვლელი პუნქტის/ფილიალის საოპერაციო ფართის ინტერიერისა და ექსტერიერის ამსახველი ფოტომასალა.

ხარვეზის აღმოსაფხვრელად, აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გეძლევათ 30 კალენდარული დღე, რომლის განმავლობაშიც ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებული პირისათვის ვგპ-ს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

პატივისცემით,

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი